ცნობის ფურცელი

№ 1880 | კვირა, 28 ივლისი | 1896—1902 | ყოველ-დღიური გამოცემა | № 1880

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვაიქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშუეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ამ №-თან ხელის-მომწერთ ეგზავნებათ სურათებიანი დამატების მე-51 ნომერი.

ტფილისის კერძო სამკურნალო მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა.

დ ი ლ ი თ:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ნ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.

ა. ნ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 12—1 საათამდე.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი ნერვებისა და ბავშვებისა. სამშაბათს და პარასკევს 1—2 საათამდე. კვირაობით 9—10 საათამდე.

ზ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

პრ. ვ. სობოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედ-თა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ვ. ი. იანჩევსკი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. 5—6 ს. კვირაობით 12—1 ს.

ა. ნ. მაღალაშვილი—შინაგანი ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

ვ. მალალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები— მორიგებით.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ტელეფონი № 274. (წლ.)

ქუთაისში, ვ. ბეჟანიშვილის მაღაზიაში, იყიდება „ცნობის ფურცლის“-ს №№-ბი, თითო №-რი 3 კ. დამატებით—5 კაპეიკ.

ბორჯომში ექიმი ვ. ლამბაშიძე

იღებს ავადმყოფებს დილის $8^1/_2$—11-მდე და საღამოს 4—6 საათამდე, ყოველ დღე კვირა დღეს გარდა.
ბინა: გოფმეისტრის ქუჩაზე, საეკკლესიო ქუჩის ასახვევთან, გინცენბერგის სახლი.

ე ქ ი მ ი
ალექსანდრე გიორგის ძე
მ ა ღ ა ლ ა შ ვ ი ლ ი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე. მიიღებს აგრეთვე საქმეს: ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, № 40, თუ-ლაიეის სახლი.

კ ბ ი ლ ი ს ე ქ ი მ ი
ივანე პავლეს ძე
ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილი სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის. კვირა-უქმე-დღეებში 10—1-დის და საღამოთი 5—7-დის.
ელისაბედის ქუჩა, № 38. (წლ.)

ე ქ ი მ ი
ვ. ს. მუსხელაშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს საღამოთი 5—8 საათ.
წყნეთის ქუჩა № 24 სახ. ვაჩნაძისა. (წ).

ქ. გორში,
ექიმი კონსტანტინე ლაზარეს ძე
ცურიაშვილი,

საკუთარ სახლში, იღებს: ავადმყოფებს შინაგანითა, საბავშვო და თვალის.

ფოთის საბუღალტერიო კურსები
ა. კ. გიგინეიშვილისა.

თხოვნა მიიღება ყოველ დღე. სწავლა დაიწყება პირველ ენკენისთვიდან. პირობები და პროგრამები მსურველთ გაეგზავნება უფასოდ. (ნ. 20—9)

სამეურნეო მრეწველობის კომიტეტის პოგრამმა

ქვემოთ ჩვენ ვბეჭდავთ უმთავრეს კომიტეტისაგან შემუშავებულს პროგრამმას, რომელიც სახელმძღვანელოდ და განსახილველად მიეცა საგუბერნიო კომიტეტებს, მათ შორის ტფილისისა და ქუთაისის კომიტეტებსაც.

მკითხველი დაინახავს, რომ პროგრამმა საკმაოდ ვრცელია, რადგანაც სასოფლო-მეურნეობას თითქმის ყოველ მხრიდან შეეხება. მაგრამ ეს სრულიადაც არ ჰნიშნავს, რომ მას არავითარი ნაკლი არ ჰქონდეს და სავსებით გამოხატავდეს სოფლის საჭიროება—გაჭირვებას. უნაკლულოსა და მრავალმხრივის პროგრამის შედგენა არც შეეძლო უმთავრეს კომიტეტს, რადგან თვით საგანიც—სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის საჭიროებანი—მეტად დიდია და ტერრიტორიაც, რომელიც სახეში აქვთ პროგრამმის შემდგენელთ, მეტად ფართოა. ამას კარგად გრძნობდა თვით უმთავრესი კომიტეტიც და სწორედ ამიტომ ნება დართო ადგილობრივ კომიტეტებს თავის შეხედულებით გააფართოვონ და შეავსონ პროგრამმა. კიდევაც ასე იქცევიან კომიტეტები შიდა რუსეთში და ზოგან ძალიან შესამჩნევად შესცვალეს მათდამი წარმოგზავნილი პროგრამმები...

ჩვენის აზრით, პროგრამმას ორი შესამჩნევი ნაკლი აქვს: იგი ერთ მხრივია და მეტად ზოგადის ხასიათისაა.

მისი ერთმხრივობა იმით გამოიხატება, რომ უმთავრესი (თუ სრული არა) ყურადღება მიქცეული აქვს ტეხნიურ მხარისათვის: მიწის განოყიერება-გაუმჯობესობა, ტყის მოშენება-მოვლა, პირუტყვის ჯიშის გაუმჯობესობა და სხვა. მართალია, ყველა ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ისიც უეჭველია, რომ ზოგიერთ საზოგადო პირობათა შეუცვლელად, ყოველი ტეხნიური ღონის-ძიება ფუჭი იქნება. თუ სოფელი დრტვინავს უზომო გადასახადებ ქვეშ, თუ გლეხობის იურიდიული და საზოგადოებრივი წყობილება საერთო წესწყობილებასთან ერთად საკმაოდ მოწესრიგებული არ არის, იქ რას გააწყობს ესა თუ ის სამეურნეო გაუმჯობესობა?! ამას კარგად გრძნობს თვით უმთავრესი კომიტეტი: მკითხველებს ეხსომებათ, რომ მის პირველსავე სხდომაზე ფინანსთა და მიწათმოქმედების მინისტრებმა აღიარეს—კომიტეტს ძალა უნებურად მოუხდებათ საზოგადო-სახელმწიფო საკითხებსაც შეეხონ, როდესაც სასოფლო მეურნეობის საჭიროებათა დაკმაყოფილებაზე ექნებათ სჯა-ბაასიო.

უმთავრეს კომიტეტის ამ აზრს სრულიად თანაუგრძნობენ სამაზრო და საგუბერნიო კომიტეტები; წინადაც გვქონდა მოყვანილი ამის მაგალითები, გუშინწინ-კი მშვენიერი მაგალითი იყო სუნჯის სამაზრო კომიტეტისა კრების შესახებ: კრებამ ერთხმად დაამტკიცა თავმჯდომარის ბ. ევრეინოვის პროგრამმა, რომელშიაც მთავარი ადგილი საზოგადო სახელმწიფო საკითხებს აქვს დათმობილი (ადმინისტრატიულ-პოლიციური რეჟიმი, ფინანსთა პოლიტიკის შეუფერებლობა და სხვ.) ჩვენის აზრით, ეს შეხედულება უნდა შეითვისონ ყველა კომიტეტებმა და ამ მხრით უნდა შეავსონ პროგრამმა.

რაც შეეხება პროგრამმის მეტის-მეტ ზოგად ხასიათობას, იგი, როგორც ყველა დაინახავს, იმით გამოიხატება, რომ იმპერიის მრავალ-ფეროვან ცხოვრებისათვის საერთო საკითხები აქვს წამოყენებული: პროგრამმაში ბევრი რამ არის ისეთი, რაც შიდა გუბერნიებისათვის მეტად დიდ-მნიშვნელოვანია, ჩვენის ქვეყნისათვის-კი მაგალითად, მცირე მნიშვნელობა აქვს, ამასთანავე ბევრი რამ აკლია, რასაც ჩვენის სოფლისათვის უაღრესი მნიშვნელობა აქვს; სახელდობრ: დროებით ვალდებულ გლეხობის არსებობა, ხიზანთა და სხვაგვარ მოიჯარადრეთა უფლება და სხვა (იხ. „ცნ. ფურც.“ 1877 №). ამგვარ „ადგილობრივ გარემოებათა“ უყურადღებოდ დატოვება ყოვლად შეუძლებელია, რადგან მაშინ სრული და ნამდვილი სურათი აღარ იქნება სოფლის ცხოვრებისა ყველგან იმპერიაში და ამიტომაც ყველა კომიტეტებიც ვალდებულნი არიან, თუ არ უნდათ ფორმაზე გადააყოლონ გული, გააფართოვონ წარ-

ფელეტონი

პატარა ამბები

(საკვირაო ფელეტონი)

სიცხე.—ანდაზები.—გმირობა.—სალიასის მოთხრობა.—საკვირველი ამბავი.—თელაველები.—მოვდივარ, მაგრამ არ მიშვებს.—განცხადება.

ისევ დაცხა. კვლავ დააჭირა მზემ, ტვინი აადუღა და გონება აღარ მოძრაობს. ფა-ფა! თითქმის იწვისო ყველაფერი, ეს დაწყევლილი ცხელი ქარიც რომ დაუბერავს ხანდახან! ფანჯარა და კარები დავხურე, დარაბაც მიუგდე, მიუჯექ სტოლს, ხელში კალამი ავიღე; ვცდილობ, ვფიქრობ, ოფლში ვიწურები, მინდა რამე დავსწერო, მაგრამ არაფერი მოდის. აბა, ამისთანა სიცხეში, როდესაც სულის თქმაც გიჭირს ადამიანს, ყველაფერში სიცოცხლე გაჩერებულა, ყველაფერი გამშრალა და გამაცოცხლებელი ნამი არსად არის, განა ჭკუა იმუშავებს და რასმე დასწერ!?

წინად ცოტა აგრილდა, გაგვეხარდა, გვეგონა ასე იქნებოდა სულ, მაგრამ მოგვმტყუვილა ამ დაწყევლილმა ამინდმა. ბავშვი კი ვარ, ან იმედი რად უნდა მქონოდა. არ ვიცოდი ჩვენი ამინდის ამბავი, რომ ასეთი სულთამხუთავი სიცხეები იცის! „მელას რაც აგონდებოდა, ის ესიზმებოდაო“, სწორედ მეც ისე მომივიდა.

სიცხე სიცხეა, ამ ბუზებმა კიდევ მთლად შემჭამეს, ლამის პირში ჩამიძვრენ. დავსდევ აქეთ-იქით პირსახოცით, მინდა გავწყვიტო, რაღაც ბუზების დასახოცი ამერიკული ქაღალდია, ისიც კი ვიყიდე რამდენიმე ფურცელი, მაგრამ ბუზების რიცხვი თუ მატულობს, თორემ არ კლებულობს ჩემს ოთახში. საკვირველია, რომ ის ამერიკული ქაღალდი რომ ვიყიდე, მერე უფრო გამწარდნენ და მწარედ იკბინებიან ბუზები.

დასწყევლოს ღმერთმა: ადამიანი, ეს ქვეყნიერების გვირგვინი, „ჭკუით დიდებული, სრული ნიჭირებით. აგებულებით ახოვანი, მიხვრა-მოხვრით საოცარი, საქმით სწორი ანგელოზისა, გონებით ღვთისა, ეს თვალი ქვეყნისა, ცხოველთა მეფე“ რაღაც მწერის მსხვერპლი უნდა იყოს? „ფუ, ამ სიცოცხლეს“!

ასეთ სიცხეში პატარა ამბების დაწერაც ძნელია...

—

„ჭკვიანს“ კაცებს უთქვამთ: „ამყოლს აყევი, დამყოლს დაყევი, წყალი ნაპირზე გაგაგდებსო“, „აჩქარებით სოფელი არვის მოუჭამიაო“, „ვინც მოითმენს, ის მოიგებსო“, „ნეტავ იმას, ვინც მოითმენს, ვაი იმას, ვინც ვერაო“, „საცა არა სჯობს, გაცლა სჯობსო“, „ურიის პური ჭამე, ურიის ხმალი მოიქნიეო“, „დათვი რომ მოგერიოს, მამა უნდა დაუძახოო“. ეს უთქვამთ და ზედ დაუმატებიათ: „გამოუდეგ სიმართლესა, გამოგილევს სინათლესაო“, „ჭირი მართალსაო“, და „მართლის მთქმელს ცხენი უნდა შეკაზმული ედგას, სთქვას დ წავიდესო“. თუმცა ამის მთქმელნი ძალიან პატივცემული და ხარისხოვანი პირები იყვნენ, მაგრამ ეტყობათ, ცხენები შეკაზმული არ ედგათ, რომ სიმართლეს გვერდს უვლიდნენ, ამყოლის აყოლა და დამყოლის—დაყოლა უყვარდათ, სადაც უსიამოვნება მოელოდათ,—იქიდან გაცლა.

ცხონებულმა არსენამ კი სთქვა: „ჭირსა შიგან გამაგრება ისე უნდა, ვით ქვითკირსა“, „ასი დამკარ და ერთი მათქმევინეო“, „სამართლით მოჭრილი ხელი არ მეტკინებაო“, „ცხვარი—ცხვარია, გაცხარდება—ცხარიაო“, „ძმა ძმისთვინაო—შავ დღისთვინაო“, „ზოგსა კაცსა კაცი ჰქვია, ზოგსა კაცსა კაცუნაო, ზოგს დიაცსა—დედაკაცი, ზოგ დიაცს—დიაცუნაო“.

ქვეყანა ასე ტრიალებს: ზოგი ალთას მიდის, ზოგი ბალთას. „ზოგს ხუცესი მოსწონს, ზოგს ხუცის ცოლიო“, „კაცია და გუნებაო“, ზოგი კაცი კაცის წამალია, ზოგისთვის კი „სხვისი ჭირი—კედელს ჩხირი“.

ჩვენ რაღა ვქნათ, მკითხველო, რომ არამც თუ შეკაზმული, შეუკაზმავი ცხენიც არა გვყავს?

—

შაირები კარგი გასართობია ამ სიცხეში, მაგრამ ამას არ დავპირებივართ მკითხველებს. ქუთაისიდან საგანგებო დეპეშა მივიღეთ: „აქაურის საადგილ-მამულო ბანკის ცნობილი თავმჯდომარე მოულოდნელად პეტერბურგში წავიდა, თან წაიღო თავისი ბარგი-ბარხანა; დაბეჯითებით ლაპარაკობენ აღარ დაბრუნდებაო“...

დიახ, ქვეყანაზე არიან გმირები.

არ იფიქროთ დაცინვით ვამბობდეთ სიტყვის გმირს. სრულებითაც არა. რა არის გმირი? მართალია, ჩვენ წინად ვსთქვით, ჩვენს დროში გმირები აღარ არიანთქვა, მაგრამ ეს მხოლოდ შედარებით. გმირი—სუბიექტოვური შემეცნებაა. ჯერ კიდევ შექსპირმა სთქვა: „კარგი და ცუდი როდია რამე, მას მხოლოდ კაცის გონება შეჰქმნის ხოლმე“; და განა ჩვენ ხელთ არ არის, ჩვენი საქციელი საგმიროდ ჩავსთვალოთ და ჩვენი თავი გმირად აღვიაროთ? ვინ დაგვიშლის! როდესაც მაგალითად მოსკოველი ვაჭარი შევა დუქანში, დალევს, ყველაფერს მიამტვრ-მოამტვრევს, მედუქნესაც სცემს, განა გმირობას არ ჩადის? გმირი არ არის ვინმე სოფლელი მედუქნე კარაპეტა, რომ ნათლიად მოეკიდება ტეტია გლეხს და მოყვრობისა და გულშემატკივრობის გამო მის ქონებას ხელში ჩაიგდებს, რომ უკეთ მოუაროს და უპატრონოს? გმირულად არ იქცევა ვინმე ყვავიშვილი, ჩხიკვიშვილი, გინდ კაჭკაშვილი, მოვა, მეგობრობას შემოგფიცებს, თქვენ ფეხზე დაყენებას მოინდომებს და მერე ნახავთ, რომ უკანასკნელ პერანგსაც კი გაგაძრობთ და შიმშილით რომ კვდებოდეთ, ზედაც არ შემოგხედავთ? რისთვის არ არის გმირი ის ფაშა, რომელმაც ასი ათას ოქროდ ჩაუგდო მტერს სამშობლოს ციხე, ან ის კაცი, რომელმაც რაღაც საჩუქრისათვის ჩაასმინა, დააბეზღა, გასცა თავისი მოძმე და ცხრამთას იქით გადააკარგვინა, ან ის ძმა, რომელმაც თავის ძმას უთხრა; „შენ ნახირში **წაბრძანდით**, მე ქორწილში **წავეთრევით**? გმირი არ არის ის მქადაგებელი, რომელსაც ხელში სახარება უჭერია და მონობას, ცარცვა-გლეჯას კი ქადაგებს კაცთა შორის, ვინც ქრისტეს გულისთვის ქრისტეს ჯვარს აცვამს, ან ის ჩასუქებული ვაჟბატონი, რომელიც ჩიტის რძესაც არ იკლებს და მისი ძმა ლაზარე—ავადმყოფი და მშიერი გარედ გდია? გმირი და პირველი გმირი არ იყო ტორქვემადა, რომელსაც ისე უზომოდ უყვარდა თავისი

მოგზავნილი პროგრამმა ადგილობრივ საჭირბოროტო საკითხების წამოყენებით...

როგორც წინა წერილშიაც აღვნიშნეთ, ჩვენში სამაზრო კომიტეტები არ დანიშნულა. ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ მაზრის მოღვაწეთ, როგორც საქმეში ახლო ჩახედულთ, შეეძლოთ თავის ცოდნითა და გამოცდილებით დახმარება აღმოეჩინათ საგუბერნიო კომიტეტისათვის. მაგრამ ამ საქმეს შეიძლება მეორეს მხრით მოუაროთ: როგორც წინადაც ვსთქვით, მაზრებში შეუძლიათ კერძო თათბირი გამართონ და რასაც დაადგენენ, ან რასაც მასალას შეაგროვებენ, შეუძლიათ გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს წარუდგინონ საგუბერნიო კომიტეტში განსახილველად.

აი, მაზრის ამ მოღვაწეთათვისა და სხვა მეთვალ-ყურეთათვის ვბეჭდავთ აქვე ხსენებულს პროგრამმას.

პროგრამმა

1. სასოფლო-სამეურნეო ცოდნათა გავრცება (დაწესება ინსტრუქტორებისა, ადწერა და დაჯილდოვება იმათი, ვისაც სასოფლო-მეურნეობა კარგად მიჰყავთ, განსაკუთრებით გლეხთა თვალსაჩინო და სასარგებლო მეურნეობისა და სხვ.).

2. გაუმჯობესება და განვითარება ცდის და კვლევის საქმისა სასოფლო მეურნეობაში. შემდეგ ამისა უნდა გაეცნოს სოფლის მეურნეთ.

3. ბრძოლა სასოფლო მეურნეობის მტრებთან (ხეებსა, ქვიშასა, ჭაობებსა, სენებსა, მავნე მწერებსა და სხვებთან).

4. რა ღონისძიებათა საშუალებით შეიძლება შემცირდეს სოფლებში ცეცხლის გაჩენა.

5. სამეურნეო გაუმჯობესებათა დაცვა და წესით სარგებლობის მოწესრიგება (წაქეზება გლეხებისა, რომ შემოიღონ სხვა-და-სხვა გაუმჯობესება).

6. სამეურნეო საკუთრების დაცვა (ადგილ-მამულის წართმევისა, ტყის გაჩეხისა, ცხენის ქურდობისა და სხვა ამგვარების წინააღმდეგ საშუალებათა მიღება).

7. გაადვილება წესებისა, რომ მემამულეთ შეეძლოთ ერთმანეთში მამულები გასცვალონ და ამით მოსპონ მამულების ნაკუწ-ნაკუწად დაყოფა.

8. გაყვანა და შენახვა საყოველთაოდ გამოსაყენებლად ადგილობრივ გზებისა; ურთ-ერთი დამოკიდებულება ამ საქმეში სახელმწიფოსა, გლეხთა საზოგადოებათა, სააქციონერო საზოგადოებათა და კერძო ადგილის პატრონთა შორის.

9. იჯარათა შესახებ კანონმდებლობის გადა[illegible]ლიერება სასოფლო მეურნეობის განვითარებისთვის საუკეთესო პირობათა შესაქმნელად (გადა, მელიორაცია, სანადელო მიწისა და მადნების იჯარა და სხვა).

10. წვრილ სახალხო კრედიტის მოწყობა.

11. სამელიორაციო კრედიტის გაფართოვება.

12. დაწესება სასოფლო-სამეურნეო კავშირთა (კოოპერაციათა) დაარსებისა და მოქმედების საფუძვლეთა.

13. საშუალებანი გაუმჯობესებულ მეურნეობის სისტემებისა, საუკეთესო იარაღისა, მანქანებისა, პრიბორებისა და გასანოყიერებელ ნივთიერების გასავრცელებლად. დახმარება ამ ნივთებისა და იარაღის წარმოების გასავითარებლად რუსეთში. განსაკუთრებული ზომები გლეხთა მეურნეობისათვის.

14. შინაურ პირუტყვთა მოვლა-მოშენების დარგების გაუმჯობესობა როგორც რაოდენობით, ისე ხარისხით. განსაკუთრებული ზომები გლეხთა მეურნეობისათვის.

15. მერძეობის გაუმჯობესება და განვითარება; მის ნაწარმოებთა გასაღების საქმის მოწყობა.

16. მეურნეობის სხვა-და-სხვა დარგთა (მებოსტნეობა, მებაღეობა, მეფუტკრეობა და სხვ.) გავრცელება და გაუმჯობესება; სამრეწველო მცენარეთა გაშენება. განსაკუთრებული ღონისძიებანი ამ დარგთა გლეხებ შორის გასავრცელებლად.

17. დახმარება იმ წარმოებათა განსავითარებლად, რომელთაც კავშირი აქვთ სასოფლო-მეურნეობასთან. ამ საქმის მოწყობა გლეხთა მეურნეობაში.

18. სამეურნეო ნაწარმოებთა გასყიდვისა და საზღვარ-გარედ გატანის საქმის გაუმჯობესობა.

19. მოწყობა ხორბლის შესანახ ადგილებისა.

20. რკინის გზის ტარიფები სასოფლო მეურნეობის ნაწარმოებთა გადასატანად.

21. გაძლიერება ნაწარმოების გადატანისა რუსეთის ერთის სასოფლო-სამეურნეო რაიონიდან მეორეში და სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოების შინაური ბაზრის გაფართოვება.

22. მოწყობა საშუალებათა, რომ პირდაპირ დამზადდეს და ჩაბარდეს სოფლის ნაწარმოები ხაზინის დაწესებულებათ.

23. გაუმჯობესება სასოფლო მეურნეობის ნაწარმოების და შინაურ საქონლის გადატან-გადმოტანის პირობებისა.

24. ხელისშეწყობა და წაქეზება, რომ გლეხები თავისნებით გადასახლ-გადმოსახლდნენ ერთმანეთის ადგილებში და ამით მოსპონ მიწების პატარა ნაჭერ-ნაჭერად დაყოფა.

25. სასოფლო საზოგადოებათა მიერ იმ ხარჯში მონაწილეობის მიღება, რომელიც საჭირო იქნება ზედმეტის მცხოვრებთა სხვა ადგილებში გადასასახლებლად და საჭირო შემწეობა გადასასახლებელ პირებისათვის.

26. დახმარება შინა მრეწველობისათვის საჭირო მასალის მოწოდებით, ნაწარმოების გასაღებით, უმჯობესის საშუალების და ცოდნის გავრცელებით და სხ.

27. მოწყობა გლეხების გარედ მუშაობის საქმის ცნობების შეკრებით შრომის ფასის და მოთხოვნილების შესახებ, დახმარება, რომ გლეხებს გაუადვილდეთ სამუშაოზე წასვლა, გადაზიდვა მუშებისა რკინის გზით და გემებით, მოწყობა ხალხის საკვებისა და საექიმო დახმარება იმ ადგილებში, სადაც ბევრი მუშა იკრიბება.

საზღვარ-გარედ

ინგლისი. ლიბერალების მეთაურის კემპბელ-ბანერმანის პასუხად ჩემბერლენმა დიდი სიტყვა წარმოსთქვა სამხრეთ-აფრიკის შესახებ. ყველა გაზეთებმა ერთ ხმად აღნიშნეს მშვიდობიანი კილო ამ სიტყვებისა. უპირველეს ყოვლისა მან გამოსთქვა იმედი, რომ გაძევების პროკლამაციები მალე სრულიად გაუქმდებაო. მთავრობას უნდა ჰქონდეს უფლება განაძევოს მაინც პირები ტრანსვაალის ტერრიტორიიდან და აღუკრძალოს შემოსვლა ისეთ პირებს, რომელთა შესახებ შეიძლება წინ-და-წინ ვთქვათ, რომ ისინი არ იქნებიან კარგი მოქალაქენი. რაც შეეხება ბურების დაბრუნებას და იმას, რომ მიწები დაურიგდეთ ტყვედ ნამყოფებს, ამ პირობის სისრულეში მოყვანა მინდობილი აქვთ ადგილობრივ კომისიებს, რომელნიც უმეტეს ნაწილად ტრანსვაალის ბურებისგან შესდგება. ყოველ შემთხვევაში მთავრობას აზრად აქვს, რომ აასრულოს არა მარტო სიტყვაზავის პროტოკოლებისა, არამედ მათი შინაგანი აზრი. ახლად დაჭერილი კოლონიები პირველ ხანში სახელმწიფო სამფლობელოდ იქნებიან აღიარებულნი, მაგრამ შემდეგ ნელ-ნელა გადიქცევიან თვით-მმართველ კოლონიებათ. ეს გადაქმნა მაინც დროს მოითხოვს და მთავრობა ვერ მოითმენს, რომ მას მეტად აშურებდნენ. რაც შეეხება ინგლისელების დასახლებას, მთავრობას სრულებითაც არა აქვს განზრახვა დიდიდ კოლონიზაციის შექმნა იმ აზრით, რომ ჰოლლანდიელ მკვიდრთა რიცხვი უმცირესობად აქციოს. მიწათ-მოქმედ ოლქებში, თქმა არ უნდა, უმრავლესობა ჰოლლანდიელ მკვიდრთ შერჩებათ. მაგრამ მაინც საჭიროა, რომ სამეურნეო ოლქებშიაც დავასახლოთ ინგლისელი ფერმერები, და ამ გვარად განვავითაროთ მეურნეობა და ნაყოფიერად მოვიხმაროთ ბუნებრივი ადგილობრივი სიმდიდრე. მამაცი მეომრები, რომელთაც მძიმე ბრძოლის შემდეგ თავის მეფედ აღიარეს ედუარდ მეშვიდე, ამტკიცებენ თავისი ქცევით, რომ იციან სიტყვის ასრულება და იმედი უნდა გვქონდეს, რომ ყველა ბურები თავის მეთაურების გზას დაადგებიან.

შემდეგ ჩემბერლენმა მაღალი ხმით განაცხადა: „ჩვენ არ გვინდა, ბურებმა დასტოვონ ძველი ტრადიციები. ჩვენ გვსურს, პირიქით, რომ მათ დაიცვან და განავითარონ თავის ნაციონალური ხასიათის ყოველი კარგი თვისება. იმედი გვაქვს, ისინიც ხელს მოგვცემენ ჩვენ, დაივიწყებენ მტრულ გრძნობებს, და ჩვენთან ერთად იშრომებენ სამხრეთ-აფრიკის საკეთილდღეოდ, იმ დროშის ქვეშ, რომელიც, რაც უნდა ილაპარაკონ მის შესახებ, დამცველია ერთა თავისუფლების, სარწმუნოებისა და ენისა და მის მფარველობის ქვეშ მყოფთ აძლევს საშუალებას მშვიდობიანად ისარგებლონ თავისი შრომის ნაყოფით და მოწყალე და სამართლიანი სამსჯავროებით“.

ამ სიტყვებს პალატის უმრავლესობა ტაშის ცემით მიეგება, მაგრამ ირლანდიელ დეპუტატების ადგილებზე-კი ირონიული ხარხარი გაისმა. მართლაც, მკითხველის მოეხსენება, რამდენად სამართლიანია ეს თან მწარე ირლანდიელების დაცინვა. თუ ინგლისის კონსტიტუცია ყველასათვის დედაა, ირლანდიელებისათვის ნამდვილი ბოროტი დედი-ნაცვალია. ჩვენს გუშინდელ ნომერში მოთხრობილი იყო, სხვათა შორის, „სამსჯავროების სამართლიანობა და მოწყალება“, რომლებიც კატორღაში ჰგზავნიან უდანაშაულო ირლანდიელ გლეხებს გაიძვერა შერიდანების წყალობით.

მაგრამ მშვიდობიანმა კილომ, რომელსაც ჩემბერლენი ჩვეული არ არის, საზოგადოდ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა, და თვით ლაბუშერი, რომელიც დაუძინებელი მტერია ჩემბერლენის პროგრამისა, იძულებული შეიქმნა აღენიშნა ჰუმანური კილო მისი სიტყვისა. ამ ჟამად ლაპარაკი ომის მიზეზებზე და თვით ომზე კი აღარ არის, არამედ დღევანდელ პრაქტიკულ კითხვებზე. და ამიტომ ლაბუშერი და ანტი-იმპერიალისტები ეთანხმებიან კოლონიის მინისტრს, თუმცა ეს, რასაკვირველია, იმას არა ჰნიშნავს, რომ მათ თავისი შეხედულება შეეცვალოთ ამ ომის შესახებ.

შემდეგ ლაბუშერმა ჰკითხა მინისტრს, როდის მოელება ბოლო სამხრეთ-აფრიკის ცენზურასაო. იკითხეს აგრეთვე, მართალია, რომ იმ სამი მილიონი გირ. სტერლინგიდან, რომ...

მორწმენი და მოყვასნი, რომ ათასობით ჰყრიდა მათ ცეცხლში, რათა ამით დაეხსნა ისინი ჯოჯოხეთის ცეცხლისაგან? გმირი იყო ალბა... მაგრამ რაღა ასე შორს და სხვაგან ვიაროთ; თქვენ გკითხავთ, მკითხველო: გმირად, პატარა გმირად მაინც, არა სთვლით თქვენს თავს? ხომ არასოდეს არ უღალატხეთ სინიდის, ყოველთვის მართალს ამბობთ, ენა თქვენი არის გამომხატველი თქვენის სულის და გულისა, მუდამ სიკეთეს მისდევთ, სადაც კი დაინახავთ ბოროტებას და სიავეს პირდაპირ მედგრად შეებრძოლებით, აშკარად დაჰგმობთ, რაც დასაგმობია, შორს განდევნით ყოველგვარს სიბილწეს და უზნეობას? და თუ ხანდისხან ასე არ იქცევით, სხვანაირად მოქმედობთ, ეს იმიტომ, რომ „სხვა-და-სხვა მიზეზები და დამაბრკოლებელი პირობები“ ნებას არ გაძლევენ იმოქმედოთ ისე, როგორც გინდათ? არა!..

ყოველი ჩვენგანი თავის თავს მართლად სთვლის, ჩვენი პატარა საქმე დიდად, საგმიროდ მიგვაჩნია და თუ რამ ცუდი ჩავიდინეთ, ყოველთვის მზადა გვაქვს ამის გასამართლებელი საბუთი: „მოუხერხებელი იყო, ძნელი, უდროო, არ შესაფერი, არ გვცალოდა, გუნებაზე არ ვიყავით, გვეშინოდა, გვერიდებოდა; მძიმე საქმე იყო, სუსტად ვიყავით და სხ.-და-სხ. და სხ.“. ყველანი ვიმართლებთ თავს, გმირობასაც კი ვჩემობთ; ასე რომ არ იყოს, ამდენ ხანს ათჯერ ჩამოვიხჩობდით ყველანი თავს!

ყაჩაღი—ყაჩაღია, მტარვალი—მტარვალი, მაგრამ ჩვენ კი წმინდანები ვართ?...

—

რუსის მწერალს სალიასს ერთი პატარა მოთხრობა აქვს დაწერილი, რომელიც მეტად საინტერესო შინაარსის არის. მოთხრობის გმირი,—მისი სახელი არ გვახსოვს, მაგრამ შეგვიძლია არხიპ ფადეიჩი ვუწოდოთ, სულ ერთია,—ეს გმირი 21 წელიწადია სწორედ სახაზინო პალატაში მსახურობს. იყო შტატს გარეშე უჯამაგირო მწერლად, მერე შტატს გარეშე ჯამაგირიან მწერლად, შემდეგ ჩანიშნეს შტატში, რამდენიმე წლის შემდეგ მისცეს სტოლის უფროსის თანაშემწეობა, მერე იყო ბუხგალტერის თანაშემწედ, პალატიდან ხაზინაში გადაიყვანეს და უმცროსი კასსირობა ჩააბარეს, შემდეგ ისევ პალატაში დააბრუნეს, ბარე ხუთს წელიწადს სტოლის უფროსის თანამდებობის ამსრულებელი იყო, ბოლოს, როგორც იყო, სრულ სტოლის უფროსად დაამტკიცეს. ამას გადმოგვცემდა არხიპ ფადეიჩის ფორმულიარი. არხიპ ფადეიჩი ძალიან კმაყოფილი იყო თავის ბედით. ყველაზე უფრო მას ის მოსწონდა, რომ მოხელე იყო, წარჩინებული ხარისხის კაცი, ეჭირა საპატიო ადგილი, რამდენიმე ათასი „საქმე“ მის ხელში იყო, ყოველ დღე 20—30 ქაღალდს შეადგენდა, იმდენსავე ხელს მოაწერდა, მოაწერდა კი არა, გამოხატავდა ქაღალდზე თავის სახელს და გვარს. ხშირად აიღებდა არხიპ ფადეიჩი თავის ხელმოწერილს ქაღალდს ხელში და დიდხანს უცქეროდა აღტაცებული: ვინ იცის, ვის ხელში გაივლის ეს ქაღალდი, ფიქრობდა არხიპ ფადეიჩი,—წაიკითხავენ მის გვარს და იკითხავენ: ვინა ბრძანდება ეს ბატონი, ნეტავი რა კაცია, ცოლიანია თუ უცოლო, მაღალი ტანის თუ დაბალის, მხიარული ადამიანია თუ ავგულა... გაიტაცებდა ასე ფიქრები ჩვენს სტოლის უფროს და აუწერელ ნეტარებას ჰგრძნობდა. „დაგელოცოს, ღმერთო, სამართალი! სიხარულით მოითქვამდა სულს არხიპ ფადეიჩი: როგორ საუცხოვოდ არის ყველაფერი ამ ქვეყნიერებაზე“. აი თუნდ აიღეთ ჩვენი სახაზინო პალატა, იფიქრებდა გულში: ხაზინის უფროსი—მათი აღმატებულება, განყოფილებათა გამგენი, ბუხგალტერები და სტოლის უფროსები, მათი თანაშემწენი, უფროსი მწერლები, უმცროსი მწერლები და სხვა შტატს გარეშე მოხელენი,—როგორ ყველაფერი თავის რიგზეა დალაგებული და მოწყობილი! ხანდახან უცებ ერთი ახირებული აზრი გაუვლიდა არხიპ ფადეიჩს თავში: რა იქნებოდა, რომ ხაზინის უფროსი არ იყოს; გაუვლიდა და მაშინათვე შიშის ზარი შეიპყრობდა, სასოწარკვეთილებაში ჩავარდებოდა: ღმერთო, ღმერთო, რა საშინელება, რა უბედურება დაგვემართებოდა!.. არხიპ ფადეიჩი, იმ წამსვე პირჯვარს გადაიწერდა და ეშმაკს მიაფურთხებდა, რომელმაც ასეთი ბოროტი ფიქრი აფიქრებინა.

უფროსი ხომ უფროსია, მაგრამ არხიპ ფადეიჩს იმის წარმოდგენაც-კი უჭირდა, თუ რა გაჭირვებაში ჩავარდებოდა პალატა. არხიპ ფადეიჩი რომ არ იყოს, ავად გახდეს ან სხვა მიზეზისა გამო არ მოვიდეს პალატაში. ყველაზე უწინ გაოცდებოდა შვეიცარი. მერე შეშინდებოდნენ მისი ხელქვეითი მოხელენი, რა იქნა არხიპ ფადეიჩიო? იკითხავდა გაკვირვებული განყოფილების გამგე. წავიდოდა უფროსს მოახსენებდა. შეიქნებოდა პალატაში ლაპარაკი, მითქმა მოთქმა: სად არის არხიპ ფედეიჩი? რისთვის არ არის არხიპ ფადეიჩი? მოვიდოდნენ მთხოვნელები, არ ნახავდნენ არხიპ ფადეიჩს, შეწუხდებოდნენ, აქეთ ეცემოდენ, იქით ეცემოდნენ!.. „არა, არა“! დაიმშვიდებდა გულს არხიპ ფადეიჩი: „დაგელოცოს, ღმერთო, სამართალი“!

ამ ჩვენს არხიპ ფადეიჩს მოუვიდა ერთგულის სამსახურისათვის საჩუქარი—ორდენი (არ გვახსოვს რომელი). როდესაც პალატის უფროსმა დაიბარა და გამოუცხადა ეს სასიხარულო ამბავი, არხიპ ფადეიჩს ისე გაეხარდა, რომ სიხარულისაგან ცრემლები წამოუვიდა, კანკალი დაიწყო, ფეხი ვერ დასძრა, რომ ორდენი ჩამოერთმია. „თ...თთ... თქვენო... აღმატებულება... მე... მე... მმე“, ძლივს წარმოსთქვა საბრალომ. „მომილოცავს, გაამხნევა უფროსმა: გმადლობთ მეც პირადათ ერთგულ სამსახურისათვის. მართალია თქვენ, დიდის ნიჭის პატრონი, ე. ი. გენიოსი არა ხართ, მინდა ვსთქვა, მაგრამ პირველი საქმე მუყაითობაა, არხიპ ფადეიჩ, და მუყაითობაზე კიდევ უფრო საჭირო მორჩილება. დიაღ. მე მადლობელი ვარ და კმაყოფილი თქვენი“. არხიპ ფადეიჩი, როგორც იყო, გამოვიდა უფროსის კაბინეტიდან. იქვე შეხვდნენ ამხანაგები, მისცვივდენ, გადაკოცნეს, მოულოცეს. არხიპ ფადეიჩი ძლივს გასწვდა ყველას, კინაღამ ორდენი ხელიდან გააგდებინეს და გაუფუჭეს. ბოლოს ღონე მოიკრიფა და ცრემლებიანმა მიმართა ამხანაგებს: „ძმებო!.. მე ბედნიერი ვარ... უბედნიერესი ადამიანი დედამიწაზე... კვირას ჩემი სტუმრები ხართ ყველანი“. აქ ბავშივით აუვარდა ტირილი და ლაპარაკი ველარ გაათავა...

გათავდა სამსახურის დრო. არხიპ ფადეიჩი ფრენით წამოვიდა სახლისკენ. ვინც კი შეხვდებოდა გზაში, თითქოს უღიმოდა და ულოცავდა, თითქოს ყველამ იცოდა უკვე მისი ბედნიერება. ეზოში რომ შევიდა, მეკარემ მოწიწებით მოუხადა ქუდი. მოვიდა სახლში. დაუძახა თავის ოთახში გოგოს, ხელში ჩაუდო ერთი მანეთი და მერე შორიდან დაანახა ორდენი. მანეთით გახარებული გოგო გადაეხვია არხიპ ფადეიჩს და დიდხანს ულოცავდა გაბედნიერებას. არხიპ ფადეიჩმა სადილათ თავისთან დაიჯინა გოგო, მოატანინა არაყი და ლუდი და ბევრი საგულისხმიერო სიტყვა წარმოსთქვა.

შლიც ბურების ზიანის აღსადგენად არის გადადებული, ზოგი ინგლისელების ზარალის აღდგენას მოუნდებათ. ჩემბერლენმა განაცხადა, რომ ახლავე ძნელია ცენზურის გაუქმების ვადის განსაზღვრა; რაც შეეხება მეორე კითხვას, სამი მილიონი სულ ბურების სასარგებლოდ წავაო.

ახალი ამბავი

✦ როგორც გავიგეთ, შემდგარა მცირე წრე **სერგეი მესხის** პატივისმცემელთა, რომელთაც განუზრახავთ განსვენებულის პუბლიცისტის ნაწერების გამოცემა და უკვე შესდგომიან საქმეს. გამოცემული იქნება ყველაფერი, რაც კი დაუწერია ს. მესხს, აგრეთვე მისი წერილები, მოგონებანი მისი ამხანაგებისა და სხვა საბიოგრაფიო მასალები. მალე გაიხსნება წინ-და წინი ხელის მოწერა გამოცემაზე.

✦ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს აზრადა აქვს წელს **წევრთა კრება** წესდებით დადებულ ვადაზე (15 ოქტომბერზე) ადრე მოიწვიოს. კრებამ უნდა განიხილოს შემდეგი საგნები: 1) სასოფლო-სამეურნეო ცოდნათა გასავრცელებლად სკოლებისა და სასოფლო-სამეურნეო სადგურებისა და სხვ. დაარსება; 2) იმ ადგილებში, სადაც მევენახეობას მისდევენ, ვაზის წამლებისა და იარაღის ვაჭრობის მოწყობა და 3) გაუმჯობესებულ სასოფლო-სამეურნეო იარაღის გავრცელება.

✦ ტფილისის წალაქის გამგეობამ საბოლოოდ შემუშავებულ **ამომრჩეველთა სიიდან,** შინაგან საქმეთა მინისტრის განმარტების თანახმად, ამორიცხა ტფილისის თავად-აზნაურობა, როგორც ქარვასლის პატრონი, და საეკკლესიო სანთლის ქარხანა.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობამ, გუბერნატორის მოწერილობის თანახმად, დაავალა ქალაქის სასანიტარო ექიმებსა და სავაჭრო პოლიციის აგენტებს **მეტი ყურადღება მიაქციონ ხორცის ვაჭრობას.**

✦ ქალაქის მილის წყლის გამგემ ბ-ნმა ქურდიანმა გამოიკვლია ქალაქში სხვა-და-სხვა წყარო, რომლებითაც უფრო ხელსაყრელია **ქალაქის ქუჩების მორწყვა.** ამ მხრივ ბ-ნ ქურდიანს წარუდგენია ორი წყარო, რომელთაგან ერთი გამოდის სუბ-კარაპეტის დაღმართში და მეორეც ქ-ნ ნადიროვის სარდაფში. ეს ორი წყარო ბ. ქურდიანს სასარგებლოდ უცვნია და გამოუანგარიშნია კიდეც, რომ ამ ალაგს აუზის გაკეთება ქალაქს 900 მან. დაუჯდება. ქალაქის სხვა ალაგებზე კიდევ, ბ. ქურდიანის რჩევით, უმჯობესია, ზოგგან ტკვრის წყლით მორწყან ქუჩები და ზოგ ალაგს მილის წყლით.

✦ მომავალ იანვარში **მოხდება რუსეთის ზეითალთა კრება** და გაიმართება საზეითალო გამოფენა. ტფილისის ქალაქის გამგეობამ უკანასკნელ სხდომაზედ გადასწყვიტა, მონაწილეობა მიიღოს ამ გამოფენაში.

✦ 26 ივლისს აბასთუმანში გარდაცვლილა საპატიო ლეიბ-მედიკი **მთავარი სამხედრო-საექიმო ინსპექტორი რემერტი.** რემერტი დიდხანს მსახურებდა კავკასიაში. დიდი ღვაწლი მიუძღვის იმას აბასთუმნის და ბორჯომის სამკურნალო წყლების მოწყობა-გაუმჯობესობაში. რუსეთის მხედრობაშიაც დიდი შრომა გასწია, განსაკუთრებით რუსეთის და ოსმალეთის უკანასკნელ ომის დროს.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობამ სთხოვა უსახელო საზოგადოების წარმომადგენელს განკარგულება მოახდანოს, რომ **ცხენის რკინის გზის ვაგონები** მუშტაიდში მყოფთათვის ნაშუალამევის პირველ საათამდე ამუშაონ. უკანასკნელი ვაგონი მუშტაიდიდან ამ საათზე უნდა წამოვიდეს.

✦ ოთხშაბათს, 31 ივლისს, საბჭოს დარბაზში მოხდება **მოქალაქეთა რწმუნებულების კრება.** სხვათა შორის, კრებამ უნდა განიხილოს კომისიის მიერ შემუშავებული პროექტი ხარჯის ამკრებ მამასახლისისა და იმის თანაშემწეების დაჯილდოვების შესახებ.

✦ მოსამართლის ის განაჩენი, რომელიც **დახურულ ბაზრის** დაქცევას შეეხება, ამ ბაზრის პატრონებმა განასაჩივრეს ოლქის სასამართლოში, რომელიც ამ საქმეს განიხილავს 20 სექტემბერს. მომჩივანნი შუამდგომლობენ ოლქის სასამართლოს წინაშე მოსამართლის განაჩენის გაუქმებას, რადგანაც ეს საქმე მომრიგებელ მოსამართლეს არ ექვემდებარებაო. ამასთან თხოულობენ, ხელახლად გამოიკვლიონ და გასინჯონ შენობანი.

✦ **ტფილისის პოლიცმეისტერი** დაბრუნდა და 27 ივლისიდან შეუდგა თანამდებობის ასრულებას.

✦ ამას წინად ტფილისის სამხედრო სამკურნალოს უფროსმა სთხოვა ტფილისის ქალაქის გამგეობას, რომ ნავთლუღის ქუჩიდან სამკურნალომდე გზატკეცილის ორსავე მხარეს ქვაფენილი გაეკეთებინათ, რადგანაც ცუდის ამინდის დროს იქ ისეთი ტალახები დგება, რომ ხალხს გავლა უძნელდებათ. გუშინ ქალაქის მთავრის მოადგილემ შეატყობინა სამკურნალოს გამგეს, რომ ქალაქის სააშენებლო განყოფილების სავადებულ დადგენილებათა მე-13 მუხლის ძალით ასეთი ქვა-ფენილები ადგილობრივმა მცხოვრებლებმა უნდა გამართონო.

✦ ამ დღეებში ყაზახის მაზრის მცხოვრებმა ა. სარიკოვმა სთხოვა ტფილისის გუბერნატორს, ნება დაერთოს ადბულაღში გამართოს ლიმონადის და სხვა სასმელ წყლების ქარხანა.

✦ პოლიციის მე-3 ნაწილში, მადათოვის კუნძულზე მეეტლე № 193 დაეტაკა სამსახურს გარეშე მყოფ ზაალ ბუწუაშვილს, წააქცია იგი და დაამტვრია. ბუწუაშვილი ტფილისის მიხეილის სამკურნალოში გაუგზავნეს შემწეობის აღმოსაჩენად, დამნაშავე იალიშევი პასუხის გებაში მისცეს.

✦ ტფილისის საგუბერნიო ექიმის თანაშემწეს დ. ცხინვალში ყოფნის დროს დაუთვალიერებია თავ. ციციშვილის სახლი, სადაც მოთავსებულია ცხინვალის სასოფლო სამკურნალო. სახლი მეტად დაძველებულია და ქვედა სართული ნოტიო ყოფილა; გუშინ ტფილისის საგუბერნიო გამგეობის სამკურნალო განყოფილებამ მისწერა მაზრის უფროსს განკარგულება მოახდინოს, რომ თავ. ციციშვილმა რაც შეიძლება მალე სახლი შეაკეთოს.

✦ ტფილისის მოქალაქეთა წესდებაში ნაჩვენები არ არის როგორ უნდა იქმნან დაჯილდოვებულნი მოქალაქეთა ხარჯის ამკრები მამასახლისი და იმისი თანაშემწენი. განსაკუთრებელ კომისიას, რომელსაც ეს საქმე განუხილავს, სხვათა შორის, გადაუწყვეტია: ყოველ წლობით ხარჯთ-აღრიცხვის შედგენის დროს ადინიშნოს თანხა, თანახმად წესდების მე-607 მუხ., ხარჯის ამკრებ მამასახლისისა და იმის თანაშემწეთა მისაცემად; $1/3$ ამ თანხისა უნდა გადაეცეს ხარჯის ამკრებ მამასახლისს გადასახადების საქმეების საწარმოებელ სტოლის დასაარსებლად; მამასახლისს და მის თანაშემწეთ ფული უნდა ეძლიოთ ყოველ თვე, მამასახლისსა და იმის თანაშემწეთ ფული უნდა მიეცეთ იმის კვალობაზე, თუ რამდენი მოკრიბეს, ასე მაგ. თუ ერთს თვეში მოუკრებიათ 2000 მან., მიეცემათ 110 მან. ამ პროექტს განსახილველად და დასამტკიცებლად მოქალაქეთა რწმუნებულების კრებას კომისია წარუდგენს ოთხშაბათს, 31 ივლისს.

✦ პოლიციის მე-3 ნაწილში გუშინ წინ მტკვარში საბანაოდ ჩასულა ივ. პორფიროვი, რომელიც წყალს ჩაუთრევია და წაუღია. მიშველებია ჯარის კაცი .ა არვინოვი და გადაურჩენია.

ქუთაისის ახალი ამბები

✦ უძრავ ქონებათა დამფასებელი კომისია 25 ივლისს კიდეც შეუდგა თანამდებობის ასრულებას. კომისია სამ ნაწილადაა გაყოფილი. თავმჯდომარეებად არიან: ს. ვ. ყიფიანი, თ. ა. მთავრიშვილი და პ. ზ. ქორქაშვილი. საგუბერნიო გამგეობამ თავის მხრივ კომისიაში დანიშნა საგანგებო საქმეთა მოხელე ბ-ნი ზუბოვი.

✦ 25 ივლისს სასულიერო სასწავლებლის შენობაში მოხდა გამოცდა იმ სამრევლო-საეკლესიო სკოლების მასწავლებელთა, რომელნიც საპედაგოგიო კურსებს ისმენდნენ ქუთაისში.

✦ იმერეთის ეპისკოპოზის ლეონიდის განკარგულებით ქუთაისის განახლებულ საბჭოში სასულიერო უწყების წარმომადგენლად დანიშნულია დეკ. ცაგერეიშვილი.

✦ ქუთაისში ძლიერ კარგი ამინდებია. ივლისის სიცხეები ჯერ არავის უგრძვნია. თუმცა ხან-და-ხან ქარი კი გვეწვევა, მაგრამ წვიმაც თან მოჰყვება ხოლმე და გვიხსნის მტვერისაგან.

✦ განახლებულ საბჭოს რამდენსამე ხმოსანს განუზრახავს შეადგინოს თავის მოქმედების პროგრამა. ძლიერ კეთილი აზრია; მაგრამ, რადგან შეუძლებელია ყოველ საქმის გათვალისწინება, კარგს იზამდნენ, რომ საბჭოს ყოველ სხდომის წინ შეიკრიბნენ და მსჯელობა იქონიონ განსახილველ საგანზე.

✦ ცეცხლისაგან დამზღვევ საურთიერთო საზოგადოების საგანგებო კრება, რომელიც 21 ივლისს არ შესდგა წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობისა გამო, დაინიშნა 4 აგვისტოსთვის. კრებამ, როგორც „ცნობის ფურცლის“ მკითხველებს მოეხსენებათ, უნდა განიხილოს ქალაქის თვით-მმართველობის შუამდგომლობა 10,000 მან. სესხის შესახებ, რომელიც ქალაქს აფთიაქის სახლის ასაშენებლად უნდა.

— ქალაქის გამგეობამ დაადგინა, გაჰგზავნოს ქალაქის ინჟენერი თავ. ჯორჯაძე შავის ზღვის პირის რკინის გზის მიმართულების გამოსაკვლევად. ბ-ნი ჯორჯაძე ამ თვის დამლევს მიემგზავრება ამ დადგენილების სისრულეში მოსაყვანად. იგი ზუგდიდში ჩავა და იქიდან შეუდგება გამოკვლევას.

რუსეთის ქრონიკა

✦ სამხედრო უწყებას აზრადა აქვს სამხედრო ექიმების სამსახური სხვა რიგად მოაწყოს. ჰფიქრობენ, ექიმებისთვის სამოქალაქო „ჩინების“ ნაცვლად სამხედრო შემოიღონ. ექიმ-აფიცრებს სახელად სასანიტარო აფიცრები დაერქმევათ.

✦ ერთის კერძო საქმის გამო სენატმა განმარტა, რომ საგვარეულო ფონდი, რო-

---

სალამოს არხიპ ფადეიჩმა გააწმენდინა გოთის ფრაკი, დაიბანა კარგად საპნით თავი და პირი, ჩაიცვა ახალი პერანგი, გამოეწყო, ცოტა „დუხიც“ გადაისხა, გაიკეთა კისერზე ახლად მიღებული ორდენი და წამოვიდა ახლობელ რესტორანისკენ. გზაში თუმცა ძლიანი სიცივე იყო, მაგრამ პალტო მაინც გახსნილი ჰქონდა, რომ ყოველს გამვლელს-გამომვლელს დაენახა მისი ორდენი... რესტორანში ბევრი ხალხი დახვდა. გაიძრო პალტო, გაისწორა საყელო და თმა, დაჯდა ერთს თავისუფალს ადგილზე და მოითხოვა ლუდი და ბუტერ-ბროდები. გული საზოგადოებისაკენ მიაქცია და ხელში გაზეთი დაიჭირა, მაგრამ ისე რომ ორდენი არ დაფარულიყო. გავიდა ცოტა ხანი. „ფხხ“! მოესმა უცებ სიცილი არხიპ ფადეიჩს. მიიხედა: მის პირდაპირ, მოშორებით, ორი სტუდენტი იჯდა, ერთს პირზე ხელი მიეფარებინა და ისე იცინოდა, მეორე პირ-დაპირ მას მოსჩერებოდა და ხარხარებდა. არხიპ ფადეიჩს გაუკვირდა, შერცხვა, გაწითლდა. ვერ მიხვდა, თუ რა ამბავი იყო; ახედ-დახედა თავის თავს: მაზედ არაფერი იყო სასაცილო და თავი ჩაღუნა. ხელ-ახლავ მომეტებული სიცილი ავარდა. არხიპ ფადეიჩმა ძალა უნებურად მიიხედა, ერთი სტუდენტი ახლა ვიღაცას მეორე სტოლზე ეუბნებოდა: შეხედე ერთი, კისერზე შეხედეო. მეორე სტოლზეც აუვარდათ სიცილი. ცივმა ოფლმა დაასხა არხიპ ფადეიჩს, კანკალი დაიწყო, უნდოდა რაღაცა ეთქვა, მაგრამ ხმა ვერ ამოიღო. სტუდენტები უფრო და უფრო იცინოდენ. არხიპ ფადეიჩი ადგა, მიიწია მათკენ. „მოწყალენო ხელმწიფენო!“ დაიწყო, მაგრამ სტუდენტების მომეტებულმა ხარხარმა ხმა ჩაუდგო. მობრუნდა, გადაუხადა რესტორატორს ფული და გაეშურა სახლისკენ...

არხიპ ფადეიჩი ჯავრისაგან ავად გახდა და მალე კიდეც მოკვდა. თან ერთი მისთვის გაუგებარი გამოცანა წაიღო: რისთვის დასცინოდენ?

—

ვერც ერთი სიტყვა ვერ გამოსთქვამს ისეთს დაცინვას, ვერც ერთი კალამი ვერ დასწერს ისეთს ირონიას, როგორც თვითონ ცხოვრება... ბევრი რამ საკვირველია! „ბევრი რამ ჰხდება, ჰორაციო, ზეცად და ქვეყნად, რაც ფილოსოფოსთ სიზმრად არც-კი მოლანდებიათო“. აბა, გასაკვირველი არ არის შემდეგი ამბავი, რომელიც ერთმა სანდო პირმა გადმოგვცა? შუა ქართლში ერთი მდიდარი სოფელია, აქ წინად სულ ქართველები სახლობდნენ, ეხლა-კი ქართველები გარბიან ამ სოფლიდან, სადაც მათ მაგიერ უცხო ტომისანი დაბინავდენ. ამას მიზეზად იმას ასახელებენ, რომ ადგილობრივი ხატი არ ყაბულობს თურმე ქართველებს: ჩვენიანები სულ იხოცებიან იქ.

ქართველებისაგან აშენებულს ეკლესიაში ქართველების მიერ დასვენებული ხატი ქართველებს არ ყაბულობსო! მოდით და ნუ გაგიკვირდებათ.

—

შემდეგი ამბავი თუ საკვირველი არ არის, ახირებული მაინცაა. ბ. სუმბათოვი იმას სწუხდა, რომ დედა-ენა არ ვიცი, თორემ ღმერთი-რჯული ქართულად მინდა მწერლობაო; თელაველები-კი იმას სტირიან თურმე: ვაი ჩვენი ცოდვა, რომ ქართული ვიცითო. ქართული ენა ისე ეზარებათ თელაველებს, როგორც ჭირი. არც ქუჩაში არც ბაღში, არც სახლში კაცი არ იღებს ხმას ქართულად. რა საკადრისია, ვინ ქართული, ვინ განათლებაო! ხუმრობთო? ქვეყანა განათლდა, გაევროპიელდა და ქართული ენა რის მაქნისიაო! ჯარიმაც-კი დააწესეს თურმე თელაველებმა იმისთვის, ვისაც ქართულად წამოცდება სიტყვა. განსაკუთრებით ეთაკილებათ დედა ენა თელაველ ქალებს (კნეინებს, კნიაჟნებს, ბარიშნებს). დედები იმასაც ცდილობენ, როგორმე დაბადებამდის დაასწავლონ შვილებს უცხო ენა. პრაქტიკულს და მეცნიერულს დარიგებას მივცემთ პატივცემულ თელაველ დედებს: მიჰმართონ პეტერბურგში გამოჩენილს ჰიპნოტიზორს ფელდმანს, რომელსაც ჰიპნოტიურ შთაგონებით ადვილად შეუძლიან ჩაუნერგოს ბავშებს დაბადებამდის სიძულვილი ქართულის ენისადმი.

თუ ვინმე მიიღებს ჩვენს რჩევას, ფელდმანის ადრესს რედაქციიდან მივაწვდით. *)

—

რას ეტყვით, მკითხველო, ვინმე რომ გიწყალობოთ: ამ სავაჭრო საქმეში ხარჯისა და მოგების შემდეგ რაც დამრჩება, თქვენი იყოსო. უეჭველია, გიჟათ ან მასხარად ჩასთვლით ასეთს კაცს.

სწორედ ასეთს წყალობას და შემწეობას უჩენენ ზოგიერთი პირები ნოქრებს და მუშებს, რომლებსაც უარსებენ ბიბლიოთეკებს და კლუბებს-თეატრებს და ეუბნებიან: მობრძანდით, გაირთეთ, განვითარდითო. ეს იმას ჰგავს, ერთი მონადირე დათვმა ქვეშ რომ მოიგდო, მეორე გაიქცა და შორიდან დაუძახა: წამო კაცო, თავი დაანებე მაგ დათვსო; მაშინ დათვის ქვეშ მყოფმა უპასუხა—მოვდივარ, მაგრამ არ მიშვებსო. ნოქრებიც ასე ამბობენ: მოვდივართ, გვინდა განვვითარდეთ, მაგრამ არ გვიშვებენო. აბა რის მაქნისია კაცისთვის ბიბლიოთეკა ან თეატრი, თუ მთელი დღე (კვირა უქმეც-კი) ერთი საათიც მოსვენება არა აქვს?!

ბათუმიდან მაინც საოცარს ამბავს იწერებიან: ფარმაცევტები აფთიაქში ხანდახან მთელი 48 საათს მუშაობდნენ თითქმის განუწყვეტლივ. დაუჯერებელია სწორედ ეს საარაკო სამუშაო დღე. არ გვეგონა, თუ ჯოჯოხეთის გარდა სადმე ამუშავებდნენ კაცს ამდენხანს! ნურავინ გაიოცებს, როდესაც ასეთნაირად მომუშავე ფარმაცევტი ვისმეს შეცდომით წამლის მაგივრად საწამლავს მისცემს.

ნოქრებში ყველაზე უფრო ბედნიერი ყოფილან სოხუმელი ნოქრები, რომლებიც კვირა-უქმე დღეებში მაინც თითქმის მთლად თავისუფალნი არიან. მაგრამ მათ მეორე უბედურება სჭირთ: არაფერი გასართობი და გონებრივს საზრდოს მომცემი დაწესებულება არა აქვთ, ღვინო და არღანია მათი თავის შემაქცევი მარტო.

იმედი უნდა ვიქონიოთ, სოხუმელი ნოქრები თვითონ მოხედავენ თავის მდგომარეობას: შეერთდებიან და საერთო ძალებით დაიარსებენ საურთიერთო დახმარების საზოგადოებას კლუბითა და ბიბლიოთეკით. ასეთი საზოგადოება არსებობს ტფილისში და არსდება ქუთაისშიც.

—

განცხადება: «ბ. ბეჟანიშვილის წიგნის მაღაზიაში მიიღება ხელის მოწერა იმ სადილზე, რომელიც იმართება ღრმად პატივცემულ ბ. ომის პატივსაცემლად მის 600 დღის ქართველების სასარგებლოდ სამწერლო მოღვაწეობისთვის. ვისაც სიტყვის თქმა უნდა სადილზე, წინდაწინ განაცხადოს, რომ რიგი იქნას დაცული. აქვე მიიღება ფული ოქროს კალმის და კალმის ტარის საყიდლად, რომელიც უნდა მიერთვას ბ. ომს“.

სიტყვა.

*) ჩვენს თელაველს კორესპონდენტს: გმადლობთ, იმედი გვაქვს, შემდეგისთვის მოგვაწვდით მასალას.

სიტყვა

მელსაც აზრად წევრთა დახმარება აქვს, საქველმოქმედო დაწესებულებად არ ითვლება, რადგანაც ასეთ წევრს ოჯახური და არა საზოგადოებრივი ხასიათი აქვსო.

✦ მოსკოვში აგვისტოს ლომბარდთა გამგეების კრება მოხდება. დღემდე კრებაზედ დასწრების თანხმობა განუცხადებია თერთმეტ ლომბარდის გამგეს, სხვათა შორის, ტფილისისასაც. ზოგს მოხსენებაც წარუდგენია. ორი თუ სამი მოხსენება შეეხება ურთ-ერთ დამზღვევ საზოგადოებას, რომელმაც ლომბარდში დაგირავებული ნივთები უნდა დააზღვევოს ცეცხლისაგან.

✦ გზათა სამინისტროს აზრადა აქვს დააარსოს განსაკუთრებული სკოლა წყალ-ქვეშ მოსიარულეთა მოსამზადებელად.

✦ ამ ჟამად ვარშავის რკინის გზაზე, პეტერბურგსა და ვერჟბოლოვოს შუა, რკინის გზის ორი ლიანდაგია. ეხლა გადაუწყვეტიათ მესამე ლიანდაგიც გამართონ. ახალ ლიანდაგზე მხოლოდ საქონლის მატარებლები ივლიან.

✦ ფინანსთა სამინისტროს შეუმუშავებია პროექტი იმ წესდებისა, თუ როგორ უნდა შეადგინონ ხოლმე თავიანთ მოქმედების ანგარიში სააქციონერო და სხვა სავაჭრო და სამრეწველო საზოგადოებებმა.

დაბა-სოფლები

სოფ. საწულუკიძეო (ქუთაისის მაზრა). ჩვენ სოფელში არსებობს სამრევლო სასწავლებელი, დაარსებული 1900 წელს. დიდი ღვაწლი და შრომა მიუძღვის ამ სკოლის დაარსებაში საწულუკიძეოში მცხოვრებს მონაზონს თეკლე ბუჭუა სანოძის ასულს. საწულუკიძეოს ზემოხსენებულ წლამდის საკუთარი სასწავლებელი არა ჰქონდა. ნახახულევში, რომელზედაც ჩვენი სოფელია მიწერილი, დიდი ხანია არსებობს ორ-კლასიანი სამინისტრო სასწავლებელი, მაგრამ სიშორისა გამო იქ ბავშვებს ვერა ჰგზავნიდნენ. ამასთან ბავშვების მიღება იქ კენჭით არის და კენჭი ხომ მხოლოდ ბედნიერს ჰხვდება. ამის გამო საწულუკიძეოში საკუთარ სასწავლებლის დაარსება დიდად საჭირო შეიქმნა.

საქმეს ხელი მოჰკიდა ამ სოფელშივე მცხოვრებმა მონაზონმა თეკლე ბუჭუა სანოძის ასულმა. თავისის ხარჯით 1900 წელს ეკკლესიის მახლობლად ააგო ქვიტკირის ლამაზი შენობა.

დღეს ამ სასწავლებელში სამოცამდე ვაჟი და ქალი სწავლობს. მონაზონი აქამდეც ზრუნავს სასწავლებლისა და მოსწავლეებისათვის: ფულს არა ჰზოგავს შენობის შეკეთებისა და ნივთებისთვის, ურიგებს ღარიბ ბავშვებს უსასყიდლოდ წიგნებს, რვეულებს, კალმებს და სხვა ნივთებს. ამისათვის მთავრობამ მონაზონი სასწავლებლის მზრუნველად დანიშნა.

იონა ჩომახიძე

—

ს. მირზაანი (სიღნაღის მაზრა). ს. მირზაანში სცხოვრობს 454 კომლი, 2510 სული. აქედან 165 სული აზნაურია და 19 სომეხი, დანარჩენი გლეხ-კაცობაა. სოფელი გაშენებულია გომბორის მთის კალთის გრეხილზე. ცალმხრივ სოფელს გაშენებული აქვს ვენახები, რომელსაც გარშემო ერთად-ერთი ღობე არტყია, შიგნით კი სულ ულობოა. ეს გარემოება დიდ შეღავათს აძლევს ვენახის პატრონებს, რადგან თავს და ბოლოს თუ სჭირდება ღობე, თორემ გვერდებისთვის არა ნაღვლობს პატრონი. კარგი იქნება, მირზაანელების მაგალითს სხვა სოფლებმაც მიჰბაძონ.

ამ სოფელში ორი სკოლაა, ერთი ქალებისა და მეორე ვაჟებისა. ქალების სკოლას შარშან კინაღამ ანდერძი აუგეს; აუგებდნენ კიდეც სოფლელნი ანდერძს, რომ სკოლას ამავე სოფელში მცხოვრები, სწავლა-განათლების მოყვარე და გავლენიანი გლეხი არ აღმოსჩენოდა. ეს გლეხი გახლდათ მაღხაზ ლაპიაშვილი. იმისმა ჭკვიანურმა ლაპარაკმა დაუბრუნა სოფელს კაკაბეთისკენ გამგზავრებული ქალების სკოლა.

ამავე სოფელს აქვს საერთო სახმარად მშვენიერი და ნოყიერი დალიანი შირაქის მინდორი. გაისმა ხმა, რომ ხარჯები ადგილ-მამულის კვალობაზე უნდა გაეწეროთ მცხოვრებთაო. სოფელმაც ამით ისარგებლა და წარუდგინა მთავრობას 19,000-მდე დესეტინა მამული, მაგრამ სოფელს ძალიან ბევრი ეანგარიშნა და ამიტომ გადასახადი დიდი გააწერეს: სოფელს ახალის წესით შეაწერეს 11,799 მ. 41 კ.: სახელმწიფო გადასახადი—7,515 მ. 61 კ. და საერობო—4,282 მ. 80 კ. (წინად იხდიდა სოფელი 6,000 მანეთამდე) ამ საქმეშიაც ლაპიაშვილმა გამოიდო თავი: წაიყვანა ორი კაცი და წავიდა ტფილისში საშუამდგომლოდ. აიღო მინდვრისა და სოფლის გეგმა და წარუდგინა იგი გადასახადთა ინსპექტორს. ლაპიაშვილი უმტკიცებდა, რომ სოფ. მირზაანს არა აქვს 19,000 დესეტინა მამული, ამდენი შეცდომით არის დასახელებულიო. ინსპექტორი შეჰპირდა გადასახადის შემცირებას 1904 წლიდან და მეტ გადებულ ფულის დაბრუნებას. მაგრამ საქმის დაგვირგვინება აღარ დააცალა წუთი სოფლის ჩარხის ტრიალმა: ლაპიაშვილი გარდაიცვალა 31 მაისს და ივნისის 2-ს იმისი გვამი მიაბარეს მიწას.

მოგეხსენებათ, სიღნაღის მაზრა საშინლად უფრთხის სწავლა-განათლებას. ამ მხრივ არც ქიზიყელნი არიან უკან ჩამორჩენილნი. ზემოხსენებული გლეხი ლაპიაშვილი იშვიათ მოვლენას შეადგენდა სწავლა-განათლების სიყვარულით. იმან ყველა თავისი შვილები სასწავლებელში გამოზარდა და სხვასაც ურჩევდა, შვილები სკოლაში მიეცათ. ამ მოხუცის დასაფლავებას დიდ-ძალი ხალხი დაესწრო. მღ. მიხეილ ბენაშვილმა სიტყვაც წარმოსთქვა.

რაზმაძე

თეატრი

დუშეთი. ჩვენი ქალაქი მარტო ზაფხულობით ეღირსება ხოლმე წარმოდგენას და სხვა სასარგებლო გართობას, ისიც საგარაკოდ მოსულ მოზარდ თაობის წყალობით.

ხუთშაბათს, 25 ივლისს, ბ-ნ იაშვილის მეთაურობით, აქაურმა სცენის მოყვარეებმა სასცენო თანხის გასაძლიერებლად, წარმოადგინეს ა. ყაზბეგის „არსენა“. ამ წარმოდგენის აზრმა და თვით პიესამ დიდ-ძალი ხალხი მიიზიდა სკოლის დარბაზში. წარმოდგენამ ჩინებულად ჩაიარა და საზოგადოებაც ნასიამოვნები დაიშალა. „არსენას“ როლს ო. კობიაშვილი თამაშობდა, გარსევანისას გ. მოზდოკელიშვილი, რომანოზისას—ქაიხოსრო ზანდუკელი. სამივენი კარგად მომზადებულიყვნენ. გ. ვლადიმიროვმა კარგად დაასურათა მოღალატე ნათლი მამა „არსენასი“ პეტრე, არა უშავდა-რა აგრეთვე ბ-ნ ლელუბნელს, გაიძვერა მოურავის როლში. ბ-ნმა რატიშვილმა სირაჯის როლში საზოგადოება ბევრი აცინა. არც ქალები ჩამორჩნენ მამა-კაცებს. ქ-ბნმა ნინა ზანდუკელისამ და მარია გძელიძისამ ისე შნოიანად შეასრულეს თავიანთ როლები, რომ ტაშის ცემითა და ვაშაძახილით იწვევდნენ.

ნაცნობი ქალი.

—

თელავი. შაბათს, 20 ივლისს, თელავის კლუბის დარბაზში, აჯიამაშულოვის მეთაურობით, გამართულ იქმნა ქართულ-რუსულ—სომხური წარმოდგენა. წარმოადგინეს ქართულად „შიშს დიდი თვალები აქვს“, რუსულად „დათვი“, ხოლო სომხურად დივერტისმენტი გაიმართა. მომღერალთა გუნდმა რამდენიმე სიმღერა შეასრულა სომხურად და ქართულად. წარმოდგენამ მხიარულად ჩაიარა. კარგად შეასრულეს თავიანთი როლები ქ-ნთ ცურინოვისამ, ევანგულოვისამ და ბ-ნმა აჯიამაშულოვმა. მერე გაიმართა ცეკვა: „ლეკური“, უზუნდარა და სხვა.

მეორე წარმოდგენა გამართეს 21 ივლისს, ითამაშეს ქართულად „გაცრუებული იმედები“ აზიანისა და რუსულად „მშვენიერი კიტი“. „გაცრუებულ იმედებს“ ეს მესამედ ადგმენ ამ სამის თვის გამომავლობაში და საზოგადოება ყველა წარმოდგენას სიამოვნებით დაესწრო. ამის მიზეზი ისიცაა, რომ სცენის მოყვარენი ამ კომედიას ძალიან კარგად თამაშობენ. კარგათ შეასრულა სტეფან ივანიჩის როლი აჯამაშულოვმა, მოეწონა საზოგადოებას აგრეთვე ევანგულოვისა, დანდუროვისა სირანუშისა და ალხაზოვისას თამაშობა. ეს წარმოდგენაც ცეკვით გათავდა. შესასვლელი ფასები ამ წარმოდგენაზე 60 კაპიკს არ აღემატებოდა.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

26 ივლისი

პეტერბურგი. „კანონთა კრებულ“-ში დაბეჭდილია უმაღლესად დამტკიცებული დებულება საადმირალოს საბჭოსი იმის შესახებ, რომ ნავთსადგურების მიმღებ კომისიებს მიეცეთ საკანცელარიო ფული და შეცვლილ იქმნას ის ბრძანება, რომელიც საზღვაო უწყების მართვა-გამგეობის შეეხება.

რეველი. სამს საათსა და 45 წუთზე „ჰოჰენცოლლერნი“ დაიძრა და ვისბიში წავიდა.

ბათუმი. 25 ივლისს ხულუბანის მთის ძირში ძეგლი დაუდგეს ზაქათალის პოლკის ჯარის კაცებს, რომელნიც ომში დაიხოცნენ 1878 წელს.

ვენა. გაზეთები უარსა ჰყოფენ იმ შენიშვნას, ვითომ შემთხვევით შეხვედრა რუმინიის მეფისა და მთავარ შტაბის უფროსის ბეკისა იმის მომასწავებელი იყო, რომ ავსტრ-უნგრეთის და რუმინიის შორის სამხედრო შეთანხმება მომხდარიყო.

ლონდონი. დეპუტატთა პალატა შემოდგომამდის დაიხურა.

ჰანოვერი. გარდაიცვალა ობერ-პრეზიდენტად ნამყოფი ბენიგსენი.

კოლორადო. ქვანახშირის მადაროებში აფეთქება მოხდა. ჯერ მხოლოდ 16 კაცი აღმოაჩინეს მოკლული. მუშები აკლიათ. თოფის წამლის საწყობი, რომელშიაც ათასი გირვანქა თოფის წამალი იყო, დაინგრა.

27 ივლისი

პეტერბურგი. მართლ-მადიდებელი რუსის ხალხი დიდის სასოებით იხსენიებს 1833 წელს გარდაცვალებულს მეუდაბნოეს სერაფიმს. ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და ბრძანა, მოიხსენიონ გარდაცვალებულის საქმენი. უწმ. სინოდმა დაადგინა ეხლავ შეუდგეს ხელმწიფე იმპერატორის სურვილის აღსრულებას.

ხელმწიფე იმპერატორმა ნება დართო ღვთის მშობლის მიძინების დღესასწაულს იმპერიის ყველა ეკლესიებში შეჰკრიბონ ფული პეკინში აარსებულ მიძინების მონასტრის სასარგებლოდ.

ლონდონი. ბუკინჰემის სასახლეში მეფემ გადასცა ზოგიერთებს ორდენები გვირგვინის კურთხევის სახსოვრად.

ლონდონი. სამინისტროში შევიდნენ ახალი წევრნი: ვალრონდი—ლანკასტერის კანცლერად და ოსტინ ჩემბერლენი—გენერალ ფოსტ-მეისტერად.

ლონდონი. ოფიციალურად იტყობინებიან, რომ ჰერცოგი დოდლეი დაინიშნა ირლანდიის ვიცე-კოროლად, მაგრამ კაბინეტის წევრად არ იქნება.

ლონდონი. ბალფურის წინადადების თანახმად, პალატამ გადადო სხდომები 3 (16) ოქტომბრამდე; იგივე გადაწყვიტა ლორდთა პალატამაც.

ლონდონი. სოლსბერი უქმიფოდ შეიქნა და მეფემ ნება მისცა არ დაესწროს გვირგვინის კურთხევას.

ბრიუსელი. „პტი ბლი“-ს სიტყვით, ბურთა გენერალი ლუკა მეიერი გუშინ უეცრად გადაიცვალა გულის ავადმყოფობისაგან.

ჰააგა. კრიუგერის მახლობელნი სარწმუნოდ არა სთვლიან, ვითომც კრიუგერი ტრანსვაალში აპირებდეს დაბრუნებას.

რეველი. ხელმწიფე იმპერატორმა მიუძღვნა გერმანიის იმპერატორს დიდებულთა ძველებური ოქროს ქუდი, შემკული ძვირფასისა და იშვიათის თვლებით. გერმანიის იმპერატორმა მიუძღვნა ხელმწიფეს ოქროს საწერ-კალამი თავის მოწყობილებით და უხოძა მინისტრებს ლამსდორფსა და ფრედერიქსს შავის არწივის ორდენები; მინისტრს ტირტოვს, ადმირალს კრემერს და გენერალს გესსეს წითელი არწივის დიდი ჯვრები; ჰოფმარშალს ბენკენდორფს და ადმირალს მაკაროვს—წითელი არწივის ორდენის ბრილიანტები. ჰოფ-მეისტერს გარტვიგს გვირგვინის ორდენი. 26 ივლისს, დილის 10 საათზე მათი უდიდებულესობანიავიდნენ იახტა „პოლიარნაია ზვეზდა“-ზე. 1 საათზე ისაუზმეს „შტანდარტ“-ზე. ნასაუზმევს ხელმწიფემ გააცილა იმპერატორი მის იახტამდე. გერმანელთა საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარემ ვალგმა შემდეგი დეპეშები მიიღო. „ხელმწიფე იმპერატორი აღტაცებულია რეველში მცხოვრებ გერმანელთა სალამით და მადლობას უძღვნის მთელს კოლონიას ამ გრძნობათათვის. სასახლის მინისტრი ბ-რონი ფრედერიქსი“.

„Seine Majestät der Kaiser und König lassen ihnen und dem deutschen Vereine in Reval herzlich danken für das freundliche Begrüssungstelegramm und senden beste Wünsche für das Wohlergehen und Gedeihen der deutshen Colonie, das seiner Majestät zum Geschenk gemachte künst lerisch ausgestattete Album mit der stadt hat, allerhöchst demselbenbesondere freude bereitet, seine Majestäthaben mich beauftragt auch dafür der Colonie besonders zu danken. Reichskanzler Graf Bülow“.

კონტრ-ადმირალი რაჟდესტვენსკი დაინიშნა მისი უდიდებულესობის ამალის ადმირალად.—სადამოს „შტანდარტ“-ზე გაიმართა სადღესასწაულო სადილი; შემდეგ იმპერატორები იყვნენ ოფიცერთა საკრებულოში „შტანდარტ“-ზე. იმპერატორმა ნიკოლოოზმა უბოძა კანცლერს ბიულოვს, მარშალს ეილენბერგს და გენერალს ლესსენს მის უდიდებულესობის პორტრეთები.

ტამბოვი. ტამბოვის საზოგადოება ვიდაც უცნობმა მოატყუა: თავის თავი ფიგნერის აგენტად გამოაცხადა, დანიშნა 25 ივლისისათვის კონცერტი, შეაგროვა 300 მანეთი და გაიპარა.

რეველი. საუზმის შემდეგ ხელმწიფემ გააცილა გერმანიის იმპერატორი „ჰოჰენცოლლერნამდე“, მეგობრულად გამოეთხოვა და დაბრუნდა „შტანდარტ“-ზე. 3 საათსა და 45 წუთზე „შტანდარტი“ დაიძრა, მას გამოჰყვნენ „ჰოჰენცოლლერნი“ და გერმანიის სხვა გემები. გაისროლეს 21 ზარბაზანი, მემუსიკეთ დაუკრეს საერო ჰიმნები. 6 საათზე ხელმწიფე იმპერატორი წაბრძანდა კრონშტატს.

პეტერბურგი. იაპონიის ქალაქი ფუკუოვა და კუნძული ფორმოზა ხოლერის მხრით საშიშრად აღიარებულია.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი**

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს—1) № 1 სწრაფი—დილის 6 ს. და 45 წ. (7 ს. 43 წ.); 2) № 3 საფოსტო—ნაშუადღევის 5 ს. 9 წ. (6 ს. 7 წ.); 3) № 5 სამგზავრო—დილის 8 ს. 29 წ. (9 ს. 27 წ.).

ბაქოს—1) № 2 სწრაფი (მხოლოდ პარასკევობით)—დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.). 2) № 4 საფოსტო—დილის 12 ს. 36 წ. (1 ს. 34 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღამოს 7 ს. 24 წ. (8 ს. 22 წ.).

ბორჯომს—№ 7—დღის 1 ს. 30 წ. (2 ს. 28 წ.)

ყარსს—№ 74/75 საღამ. 8 ს. 30 წ. (9 ს. 28 წ.).

ტფილისში მოდის:

ბათუმიდან—1) № 2 სწრაფი—დილის 9 ს. 4 წ. (10 ს. 2 წ.); 2) № 4 საფოსტო—დილის 11 ს. 34 წ. (12 ს. 32 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღ. 6 ს. 39 წ. (7 ს. 37 წ.).

ბაქოდან—№ 1 სწრაფი (შაბათობით)—დღის 2 ს. 45 წ (3 ს. 43 წ.); № 3 საფოსტო—დღის 3 ს. 56 წ. (4 ს. 54 წ.); № 5. სამგზავრო—დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.).

ბორჯომიდან—№ 8—საღ. 5 ს. 59 წ. (6 ს. 57 წ.).

ყარსიდან—№ 76/77 დილის 6 ს. 20 წ. 7 ს. 18 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) № 2 სწრაფი—დამის 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) № 4 საფოსტო—საღამ. 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); № 6 სამგზავრო—დილის 7 ს. 5 წ. (8 ს. 3 წ.).

გ) ქუთაისიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ.); 2) ღამის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.)

ბათუმისაკენ—1) დღის 12 ს. 55 წ. (1 ს. 53 წ.) 2) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ). 3) დღის 3 ს. 40 38 წ. (4 ს. წ..)

ტყიბულისაკენ—დღის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

განცხადებანი

ზ ი ს

ნახშირის საწყობი

იაგორ მამინაიშვილისა

(საკუთარი ტყიდან)

გვრის მოედანზე, ყაფანთან

ისყიდება საუკეთესო გაცხავებული და მშრალი **ნახშირი.**

შინ მიტანით 1 **ფუთი 40 კაპ.**).

ტელეფონი № 754 (წ.).

ცინკოგრაფია

წიგნებ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა

ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

ახალი წიგნი

შ. არაგვისპირელი

წიგნი მეორე

ფ ა ს ი **40** კ ა პ.

იყიდება წიგნების გამომცემელ ქართ. ამხ. მაღაზიაში, ლორის მელიქოვის ქუჩაზე ქ. ტფილისში.

Дозв. ценз. Тифлисъ, 27 Іюля, 1902 г. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва).